შემოსავალი წყალმომარაგებიდან. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე. კომპანია აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია.

შემოსავალი წყალმომარაგებიდან დროთა განმავლობაში აღიარდება, როცა დაკმაყოფილდება ერთი სახელშეკრულებო ვალდებულება - მომხმარებლისათვის წყლის მიწოდება. მომხმარებლებისთვის გამოწერილი ქვითრები მოიცავს წყალმომარაგების მომსახურების საფასურს.

იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებულ შემოსავალში შედის კომერციული მომხმარებლებისათვის გამოწერილი ქვითრების თანხები მრიცხველის ჩვენებისა და პროგნოზის მიხედვით წყლის მოხმარების საფუძველზე და მიწოდებული წლის ერთეულისათვის დაწესებული მომსახურების ტარიფის გამოყენებით.

შემოსავალი ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან - მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს მოხმარებული წყლის მოცულობის საფუძველზე (მრიცხველის ჩვენების მიხედვით) და მიწოდებული წყლის თითოეული ერთეულისათვის განსაზღვრული შესაბამისი ტარიფების გამოყენებით.

4.11 ***თანამშრომელთა სარგებელი.*** ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

4.12 ***ურთიერთგადაფარვა.*** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

4.13 ***უცხოური ვალუტის გადაანგარიშება***. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარს და 1 ევრო = 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს).

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი იყო ამერიკული დოლარი (‘$’) 1 = 3.1097 და ევრო 1= 3.5519 ლარს (2019: 1 აშშ დოლარი 2.7722 1 ევრო = 3.1398). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

4.14 ***შესადარისი ინფორმაცია.*** შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებულია/შესწორებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის. გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,884	3,099	2,785
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12,662	82	12,580
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	618	75	543
არამატერიალური აქტივები	72	3	69
ძირითადი საშუალებები	275,640	108,265	167,375
სულ აქტივები	**297,759**	**111,524**	**186,235**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	731	(5)	736
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	1,454	1,440	14
გაუნაწილებელი მოგება	136,019	116,396	19,623
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**297,759**	**111,524**	**186,235**

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	16,755	(238)	16,993
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,865)	13,919	(15,784)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(9,097)	(7,886)	(1,211)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,931)	(3,663)	(1,268)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,904)	(1,728)	(1,176)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	1,549	(1,549)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	115,655	115,116	539
წმინდა (ზარალი)/მოგება	**113,613**	**117,069**	**(3,456)**

5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიას საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გავლენა.

6 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-20	არააუდირებული 31-დეკ-19
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5,185	2,883
ფული და ფულის ეკვივალენტები	**5,185**	**2,883**

2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიას ბანკის ანგარიშზე უფიქსირდება შეზღუდული თანხა 174 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ემსახურება გარანტიას.

7 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31-დეკ-20	არააუდირებული 31-დეკ-19
მოსახლეობის დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	3,771	4,053
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,391)	(1,391)
სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	***2,380***	***2,662***
სავაჭრო მოთხოვნები	492	230
სხვა დებიტორული დავალიანება	158	158
გამოკლებული სხვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(283)	(265)
სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	***367***	***123***
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	**2,747**	**2,785**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	**2020**	არააუდირებული **2019**
01 იანვრის მდგომარეობით	*1,656*	*107*
წლის ხარჯი	18	1,549
31 დეკემბრის მდგომარეობით	***1,674***	***1,656***

სხვა დებიტორული დავალიანება არის ბათუმის მუნიციპალიტეტისაგან მისაღები (კაპიტალის შესავსებად) თანხა.

7	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება *(გაგრძელება)*	31-დეკ-20	არააუდირებული 31-დეკ-19

2019 წლებში კომპანიამ დაარეზერვა სამ წელზე მეტი ხანდაზმულობის დებიტორული დავალიანებები 1,391 ათასი ლარის, მათ შორის 1,239 ათასი ლარის ღირებულების საყოფაცხოვრებო და 152 ათასი ლარის ღირებულების არასაყოფაცხოვრებო აბონენტები.

8	სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31-დეკ-20	არააუდირებული 31-დეკ-19
	მასალები	11,411	12,489
	გამოკლებული მასალების რეზერვი	(4,401)	-
	მასალები, წმინდა	7,010	12,489
	დაუმთავრებელი წარმოება	27	83
	ნედლეული	5	8
	სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**7,042**	**12,580**

2020 და 2019 წლების საანგარიშო პერიოდში დანახარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შესაბამისად 1,264 ათასი ლარი და 1,543 ათასი (არააუდირებული) ლარი.

მარაგების რეზერვის ხარჯი	2020	არააუდირებული 2019
01 იანვრის მდგომარეობით	-	-
წლის ხარჯი	(4,401)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	***(4,401)***	**-**

9 ***წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.*** კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფიქსირდება 957 ათასი ლარის ზედმეტობა. (2019 წლის 31 დეკემბერს 543 ათასი (არააუდირებული) ლარის ზედმეტობა).

10

ძირითადი საშუალებები	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები და სატრანსპორტო საშალებები	ინფრასტრუქტურული აქტივები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
არააუდირებული 31-დეკ-18	**156,350**	**12,475**	**5,009**	**1,937**	**872**	**176,643**
შეძენა	7,070	653	1,956	108	-	9,787
ჩამოწერა	(2,630)	-	-	(1)	-	(2,631)
ტრანსფერი	40	-	-	-	(40)	-
არააუდირებული 31-დეკ-19	**160,830**	**13,128**	**6,965**	**2,044**	**832**	**183,799**
შეძენა	72	142	825	21	-	1,060
ჩამოწერა	-	(130)	-	-	-	(130)
31-დეკ-20	**160,902**	**13,140**	**7,790**	**2,065**	**832**	**184,729**
აკუმულირებული ცვეთა						
არააუდირებული 31-დეკ-18	**9,388**	**1,059**	**360**	**305**	**-**	**11,112**
პერიოდის ცვეთა	2,751	1,270	876	398	17	5,312
არააუდირებული 31-დეკ-19	**12,139**	**2,329**	**1,236**	**703**	**17**	**16,424**
პერიოდის ცვეთა	2,896	1,345	1,066	402	17	5,726
31-დეკ-20	**15,035**	**3,674**	**2,302**	**1,105**	**34**	**22,150**
ნარჩენი ღირებულება						
არააუდირებული 31-დეკ-18	146,962	11,416	4,649	1,632	872	**165,531**
არააუდირებული 31-დეკ-19	148,691	10,799	5,729	1,341	815	**167,375**
31-დეკ-20	**145,867**	**9,466**	**5,488**	**960**	**798**	**162,579**

10 ***ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)*** .

კომპანიის აქტივებით არ არის არანაირი ვალდებულება უზრუნველყოფილი.

კომპანიამ ვერ მოახერხა დაედგინა მიმდინარე ანგარიშგების თარიღისთვის არსებობდა თუ არა სხვაობა გადაფასებული აქტივების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის.

2019 წლის მიწა და შენობა-ნაგებობების შეძენა მოიცავს 6,391 ათასი ლარის ღირებულების მიწისა და შენობების უვადო უზუფრუქტით მიღებას ბათუმის მერიისგან (100,745 ლარის ღირებულების უზუფრუქტი, რომელიც მოიცავდა ბათუმის ბულვარის მიწას, ჩამოწერილია მომავალი ფულადი ნაკადების შემოდინების ალბათობაზე დაყრდნობით). მიღებული აქტივების შესაბამისად კომპანიამ აღიარა გადავადებული შემოსავალი იგივე ღირებულებით, რომლიდანაც აღიარებს სხვა არასაოპერაციო შემოსავალს ყოველწლიურად შენობა-ნაგებობის ცვეთის პროპორციულად.

11 **სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**	**31-დეკ-20**	**არააუდირებული 31-დეკ-19**
მიღებული ავანსები	201	-
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	181	736
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**382**	**736**

12 **საწესდებო კაპიტალი.** კომპანიის საწესდებო კაპიტალი ბოლო ორი წელია არ შეცვლილა და 156,654 ათას ლარს შეადგენს.

13 **შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან**	**2020**	**არააუდირებული 2019**
იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	6,210	8,888
ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	4,752	4,486
სანიაღვრე ქსელების მოვლისგამ მიღებული შემოსავალი	1,466	1,526
ქსელთან მიერთების მომსახურების საფასური	1,370	1,632
სხვა შემოსავალი	109	461
სულ შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	**13,907**	**16,993**

14 **რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**	**2020**	**არააუდირებული 2019**
ხელფასის ღირებულება	5,825	7,952
ცვეთის ღირებულება	4,430	4,061
მასალების ღირებულება	1,264	1,543
ელექტროენერგიის ღირებულება	962	1,027
საწვავის ღირებულება	336	562
მომსახურების ღირებულება	235	442
ტექნიკის მომსახურების ღირებულება	175	156
ფილტრაციის ღირებულება	93	-
სხვა დანახარჯების ღირებულება	71	41
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	**13,391**	**15,784**

15 **ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი**	**2020**	**არააუდირებული 2019**
ხელფასები	1,491	1,154
დაზღვევა	28	57
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**1,519**	**1,211**

16	**ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**	**2020**	არააუდირებული **2019**
	ტრანსპორტირების ხარჯი	387	343
	დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	351	309
	დასუფთავების ხარჯი	108	115
	კომუნალური ხარჯები	81	85
	მომსახურების ხარჯი	56	94
	რემონტის ხარჯი	45	43
	რეგულირების ხარჯი	29	32
	წარმომადგენლობითი ხარჯი	18	26
	სხვა ხარჯი	103	129
	სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**1,178**	**1,176**

17	**სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი**	**2020**	არააუდირებული **2019**
	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,688	8,445
	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(1,937)	(7,906)
	სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	**751**	**539**

18 **პირობითი ვალდებულება.** კომპანიას აქვს საგადასახადო დავა შემოსავლების სამსახურთან, რომელიც ეხება 2015 წლის მაისი აპრილის თვეების შემოწმებას. შემოწმების მიხედვით ზენორმატიული დანაკარგი უნდა დაბეგრილიყო როგორც შემოსავალი და შესაბამისად არსებობს მაღალი ალბათობა ჯარიმისა, რომელიც დაეკისრება კომპანიას, სავარაუდო ღირებულებით 245 ათასი ლარი.

19 **ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ**

საოპერაციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- სავალუტო რისკი: რისკი, რომელიც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან. სავალუტო კურსის ცვლილების გამო შესაძლებელია კომპანიას გაეზარდოს ვალდებულება ეროვნულ ვალუტაზე გადათვლის შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	2020	არააუდირებული **2019**
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,185	2,883
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,747	2,785
სულ ფინანსური აქტივები	**7,931**	**5,668**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	382	736
სულ ფინანსური ვალდებულებები	**382**	**736**

19.1 ***საკრედიტო რისკი.*** კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს მომხმარებლებისათვის გადახდის ვადების დაწესებით. მიღებული პრაქტიკის თანახმად, 30 დღის განმავლობაში გადაუხდელი ნაშთების მფლობელებს

19 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ *(გაგრძელება)*

19.1 ***საკრედიტო რისკი (გაგრძელება).*** ეზღუდებათ კომპანიის მომსახურებით სარგებლობა მანამ სანამ არ მოხდება კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2020	არააუდირებული 2019
ფული განთავსებული საბანკო ანგარიშებზე	5,185	2,883
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,747	2,785
სულ ფინანსური აქტივები	**7,931**	**5,668**

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

19.2 ***მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება.*** კომპანიას არ აქვს შემუშავებული კომპლექსური მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის, რომელშიც, გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, დეტალურად იქნებოდა აღწერილი ვადაგადაცილების დონეები და მათი შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტულბები. კომპანიის მომსახურებიდან გამომდინარე, დებიტორული დავალიანების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს 30 დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში ეზღუდებათ კომპანიის მომსახურებით სარგებლობა შემდგომ თვეში და მანამ სანამა არ მოხდება კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა..

19.3 ***ლიკვიდურობის რისკი.*** კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,185	-	-	**5,185**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,747	-	-	**2,747**
სულ ფინანსური აქტივები	**7,932**	**-**	**-**	**7,932**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	382	-	-	**382**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**382**	**-**	**-**	**382**
ლიკვიდურობის პოზიცია	**7,550**	**-**	**-**	**7,550**

ლიკვიდურობის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის (არააუდირებული) მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,883	-	-	**2,883**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,785	-	-	**2,785**
სულ ფინანსური აქტივები	**5,668**	**-**	**-**	**5,668**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	736	-	-	**736**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**736**	**-**	**-**	**736**
ლიკვიდურობის პოზიცია	**4,932**	**-**	**-**	**4,932**

19 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ *(გაგრძელება)*

19.4 ***სავალუტო რისკი.*** კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები. შესაბამისად, სავალუტო რისკის დონე კომპანიისათვის შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელო.

20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია, განისაზღვროს ის ღირებულება რაც, შეფასების თარიღისათვის, შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტორების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია ფართოდ იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო/ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

საანგარიშო თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები ეფუძნება, მათ შორის, თვალსაჩინო არასაბაზრო მონაცემების გამოყენებას.

20.1 ***რეალური ღირებულების იერარქია***

კომპანია რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის შემავალი მონაცემების შემდეგ იერარქიას იყენებს:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ფინანსური ინსტრუმენტებისათვის; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისათვის; ან შეფასების სხვა ისეთი მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 მონაცემები, რომლებიც ღიად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ღიად ხელმისაწვდომ მონაცემებს და ასეთი არახელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისათვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

21 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

21 **ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან** ***(გაგრძელება)*****.** დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან	**2020**	**არააუდირებული 2019**
სხვა შემოსავალი (ბათუმის მერია)	2,058	1,290
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი (მენეჯმენტი)	117	144

ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან (ბათუმის მერია)	**31-დეკ-20**	**არააუდირებული 31-დეკ-19**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	70	70

22 **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები**

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს. 2020 წლის პირველ რამოდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი არაკორექტირებადი მოვლენა. ვინაიდან ეს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოცემისას ჯერ ისევ განვითარების ეტაპზე მყოფი გარემოებაა, მას კომპანიას ამონაგებზე არსებითი გავლენა არ ჰქონია. კომპანიას ხელმძღვანელობა არ მოელის არსებითი გავლენის არსებობას მისი საქმიანობის ბუნების გამო, რომელიც დაკავშირებულია არსებულ საჭიროებებთან. საგანგებო მდგომარეობის დროს, ადმინისტრაციული პერსონალი და ის თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, მუშაობდნენ დისტანციურად. კომპანიის შიგნით სამუშაოები გაგრძელდა და გათვალისწინებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა საჭირო ზომა და რეკომენდაცია. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი გავლენის თავიდან ასაცილებლად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

მმართველობითი ანგარიშგება

შპს ‘ბათუმის წყალი“

2020 წელი

1. კომპანიისა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს „ბათუმის წყალი“ წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სტრუქტურა, უფლებამოსილება და მართვის ორგანიზება განსაზღვრულია წესდებით. უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომლის უფლებამსილება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით.

შპს ‘ბათუმის წყალი“-ს ძირითადი საქმიანობაა ქალაქ ბათუმისა და მის ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე არსებული აბონენტების უზრუნველყოფა 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების სისტემების მომსახურეობით.

შპს „ბათუმის წყალი“-ს ძირითადი საქმიანობაა:

- აბონენტების 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა
- აბონენტების 24 საათიანი წყალარინების ქსელით უზრუნველყოფა
- წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელზე ახალი აბონენტების დაერთება
- აღრიცხვის კვანძების მოწყობა
- ბათუმის სანიაღვრე ქსელის მომსახურება

საწარმოს ძირითადი შემოსავალია აბონენტების მიერ მოხმარებული წყლის და წყალარინების საფასური. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული სუბსიდირება, რომელიც განსაზღვრულია „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების“ ფარგლებში. ასევე ბათუმის სანიაღვრე ქსელის მოვლა-ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალი.

მოცემულ ეტაპზე კომპანიის ძირითადი შემოსავლები ფორმირდება ტარიფებით, რომელიც ქ. ბათუმის საკრებულოს მიერ 2006 წლის 16 ნოემბრის #3-5 დადგენილებითაა განსაზღრული, ხოლო სანიაღვრე ქსელის მოვლა-ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალი დაკავშირებულია სახელმწიფო ტენდერთან.

2. საანგარიშგებო პერიოდში ჩატარებული კვლევა. გამოვლენილი სუსტი და ძლიერი მხარეები, დაშვებული შეცდომები და წარმატებები

2020 წლის განმავლობაში შპს „ბათუმის წყალი“ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ექსპლუატაციასა და უზრუნველყოფას უწევდა წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე წყლების საკამაოდ დიდ ქსელებს - წყალმომარაგების 468 კმ, წყალარინების 230 კმ, სანიაღვრე წყლების 214 კმ. უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა ადმინისტრაციული ოფისების, წყალშემკრები, წყალმიმღები რეზურვუარების, გამწმენდი ნაგებობების, ასევე წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია-ოპერირება, კომპიუტერული ბაზების, პროგრამების, ავტოპარკისა და სპეცტექნიკის გამართულობის შემოწმება, საწვავის სწორი და ეფექტური ხარჯვის კონტროლი, საწარმოო პრაქტიკიდან გამომდინარე შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო სათადარიგო მოწყობილობა-დანადგარების და მასალა-

ნედლეულის შეძენასთან დაკავშირებული დროული ქმედებები მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ოპერატიული ჩანაცვლებისათვის.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა, რჩება მთელი რიგი უპირატესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არსებით გავლენას მოახდენს შემდგომში კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე. ეს საკითხებია:

- ჩაქვის მთავარი გადამცემი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის ღონისძიებების დაწყება (2022 წელიდან იგეგმება აღნიშნული სამუშაოების დაწება), რომელიც საშუალებას არსებითად შეამცირებს წყლის დანაკარგის მაჩვენებელს. მას შემდეგ რაც დაბა ჩაქვში მოეწყო წყალმომარაგების ქსელი, აღნიშნულ მისამართზე დაიწყო უკანონოდ დაერთებული მრავალი მომხმარებლის ჩაჭრა და ახალ გამრიცხველიანებულ ქსელზე გადართვა, თუმცა ჯერჯერობით კვლავ ადგილი აქვს მომხმარებელთა უკანონო დაერთებების მრავალ ფაქტს, რომელიც საჭიროებს შესაბამისი პროცედურების ჩატარებას და სიტუაციის გამოსწორებას 2021 წელში. 2022-2023 წელში უნდა დასრულდეს აღნიშნული სამუშაოების 95%.
- ქალაქის ტერიტორიის დაყოფა ზონებად მათი იზოლირების მიზნით - DMA გაფართოების კონცეფცია, ღონისძიებათა კომპლექსი დანაკარგების მოძიების გაადვილებისა და უკანონო დაერთებების აღმოჩენის, გაჟონვების და ქსელის ჰიდრავლიკის მონიტორინგის მიზნით. 2019 წელში სრულად იქნა იზოლირებული 18 DMA, მაგრამ არსებული სიტაუციიდან გამომდინარე წყალმომარაგების ქსელის ზრდასთან დაკავშირებით საჭირო დარჩა გამზომი უბნების გადაკვალიფიცირება და საპროექტო მონაცემების-საზღვრების შეცვლა, რის გამოც უკვე იზოლირებული 18 DMA უბნიდან მოხდა გადაკეთება ფაქტიური საზღვრების მიხედვით და შეიქმნა ქალაქ ბათუმის წყალმოამრაგების გამანაწილებელ ქსელზე 14 DMA უბანი, რომლის საზღვრები წინამდებარე DMA კონცეფციისგან გასხვავებით გამოირჩევა ფაქტიური საზღვრებით გამანაწილებელ ქსელთან მიმართებაში. ამჟამად მიმდინარეობს ახალ შემოერთებული ტერიტორიების, (ხელვაჩაური, მახინჯაური, ჩაქვი) DMA უბნების შექმნა სადაც ფაქტიურად წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი ექსპლუატაციაში სრულად არის შესული. როცა დასრულდება შედგება ჰიდრავლიკური გათვლის მოდელი ახალ უბნებზე, რომლის შემდგომ დაიწყება აღნიშნული უბნების იზოლირება და აღრიცხვაზე დაყვანა.
- DMA უბნების იზოლირება ქალაქის ძირითად ნაწილში დასრულებულია და 2021 წელში უნდა განხორციელდეს ანგარიშსწორების სამსახურთან ერთად კონკრეტული დაერთებების მიხედვით უბნებში შემავალი აბონენტების განსაზღვრა და დატანა პროგრამულად, რომლის დასრულების შემდგომ შესაძლებელი იქნება ანგარიშსწორების სამსახურის მიერ ამოღებული ინფორმაციის შედარება კონკრეტულ უბანზე, ასევე შეიქმნა ახალი უბნების შექმნის კონცეფცია, სადაც კონკრეტულ DMA უბანში იქნება ქვე-უბნები, რომლებიც ანგარიშსწორების უბანთან იქნება მიმაგრებული და არ იქნება გადაფარვები სხვადასხვა მოსაზღვრე უბნებში. აღნიშნული სამუშაოების დასრულება იგეგმება 2021 წლის ბოლოსთვის.
- წყლის და წყალარინების სისტემაში არსებული სხვადასხვა დანიშნულების ტუმბოების სარემონტო და სხვა სამუშაოების დასაფიქსირებლად უნდა განხორციელდეს პასპორტიზაციის ელექტრონული სისტემის შექმნა;
- სახანძრო ჰდირანტების გეგმიური შემოწმება და შეკეთება;
- წყლის ქსელის სამანიპულაციო ურდულების გეგმიური შემოწმება და შეკეთება;
- გაჟონვის აღმომჩენი მოწყობილობების გამოყენებით იზოლირებულ უბნებში ფარული გაჟონვების მონიტორინგი-აღმოჩენა;
- გეოსაინფორმაციო სისტემის მეშვეობით წყლის და წყალარინების სისტემის გეომეტრიული ქსელის სრულყოფა; გეოსაინფორმაციო სისტემაში უკვე დამატებულია ბათუმის წყალმომარაგების

მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელი სრულად და მიმდინარეობს მონაცემების განახლება ყოველდღიურ რეჟიმში, სადაც ასახულია ყველა კომუნიკაციაზე არსებული ინფორმაცია და მათი მდგომარეობა. გეოსაინფორმაციო სისტემის მეშვეობით შექმნილია სხვადასხვა საველე აპლიკაციები, რომლების საშუალებით სპეციალისტები ახდენენ მონაცემების შეგროვებას, რაც შემდგომი სამუშაოებისათვის მარტივ წარმოებას ხელს უწყობს, როგორც სტატისტიკას, ანალიზს და სხვას.

- ჩაქვის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის სისტემის რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით წყლის შემკრები სათავე ნაგებობა მუშაობს მექანიკური გამწმენდი მოწყობილობის ტექნოლოგიით, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია სათავე ნაგებობის ეფექტური ოპერატიული მართვისათვის. ასევე გამწმენდ ნაგებობაზე მუშაობს გაზოქლორიდის ტექნოლოგიური ხაზი, რაც უსაფრთხო ექსპლუატაციის რისკთანაა დაკავშირებული. ნაგებობის სრული რეაბილიტაცია დაგეგმილია 2021 წლისთვის.
- ავტომატიზირებული მართვის სისტემების დანერგვა - SCADA. აღნიშნული მართვის სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს ეფექტური მართვისა და სისტემის ან მისი შემადგენელი კომპონენტის გაუმართაობის შემთხვევაში ოპერატიული ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას. მართვის ავტომატიზირებული სისტემის დანერგვისათვის მომზადებულია შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია (პროექტი) და კვლევები შესასყიდად.
- წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის სრულყოფილი ოპერირებისა და მონიტორიგისათვის სატელევიზიო დიაგნოსტიკური მანქანა CCTV შეძენის ღონისძიებები, რომლის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ქსელების მდგომარეობის შესწავლა და მათ ოპერირებასთან დაკავშირებული საექსპუატაციო ხარჯების შემცირება. მონიტორინგის სატელევიზიო დიაგნოსტიკური მანქანის შესაძენად ტექნიკური დოკუმენტაცია და კვლევები შესასყიდად მომზადებულია;

კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჯერ კიდევ ქალაქის მაშტაბით არსებული როგორც წყალმომარაგების, ასევე წყალარინების ძველი ქსელების არსებობა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია კომპანიის წყლის დანაკარგების დიდ მოცულობასთან და საექსპლუატაციო მაღალ ხარჯებთან, რადგან საწარმოს მთავარი ამოცანაა - ნებისმიერ ლოკაციაზე მომხმარებლის 24 საათიანი ხარისხიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფა, წყალარინების ქსელის გამართული ფუნქციონირება და ძველ ქსელებზე ავარიული შემთხვევების ოპერატიული და გადაუდებელი აღმოფხვრა.

3. საანგარიშო პერიოდის ფინანსური მაჩვენებლების განხილვა და პროცენტული შედარება წინა წელთან

2020 წელში კომპანიამ სათავე ნაგებობებზე მოახდინა 32 824 ათასი ლიტრი წყლის მოპოვება, რომელიც 1 818 ათასი ლიტრით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე, რაც დადებითია მაჩვენებელია (დანაკარგების შემცირების მიმართულებით) და გამოწვეულია მახინჯაურის მიმართულებით ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობითა, ხელვაჩაურის მიმართულებით ახალი ქსელის მოწყობითა და ახალი რეზერვუარების მშენებელობით.

2020 წელს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებზე რეალიზებულია - 13 796 ათასი ლიტრი (2019 წელს - 13 876 ათასი ლიტრი წყალი), რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 79 ათასი ლიტრით ნაკლებია. სახეზეა რეალიზაციის მოცულობის კლება, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში არსებული პანდემიური ფონიდან.

2020 წელს მთლიანმა შემოსავლებმა 13 906 მლნ. ლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთნ მიმართებაში 3 086 მლნ. ლარით ნაკლებია. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2020 წელში შეადგენს 13 391 მლნ ლარს.

2020 წელს საწარმომ საანგარიშო წელი დაასრულა ფინანსური ზარალით 7162 მლნ. ლარით, რაც გამოწვეულია ტარიფის შეუსაბამობით ექსპლუატაციის ხარჯებთან.

ბათუმის წყალის ფინანსური განვითარების შესაფასებლად საოპერაციო შედეგი გადამწყვეტია. უნდა აღინიშნოს , რომ ბოლო წლეების დინამიკით საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები ორივე ზრდის ტენდეციით ხასიათდება, თუმცა საოპერაციო ხარჯების ზრდა უფრო დიდია, ვიდრე საოპერაციო შემოსავლი იმავე პერიოდში. ამის ფონზე გაიზარდა ფინანსური ზარალი, რომელიც იწვევს არადამაკმაყოფილებელ შედეგს და საჭიროა ამ ტენდენციის წინააღმდეგ ზომების მიღება.

აქვე უნდა აღინიშნოს, ქ. ბათუმში მოხმარებული წყლის, შესაბამისად რეალიზებული წყლის წლის განმავლობაში არასტაბილურობა, სეზონურობა.

4. მომავალი პერიოდის რისკები და პესპექტივები

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

5. ლიკვიდურობის რისკი

კომპანია აქტიურად მუშაობს ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას, თუკი მენეჯმენტი არ გააკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს საწარმოს სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდუობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აქტივებისა და და ვალდებულებების მართვის პროცესს.

საწარმოს მენეჯმენტის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია დებიტორული დავალიანებები, რომლებიც ამოღების კუთხით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებებისა, რათა სხვადასხვა მექანიზმებით (სამართლებრივი, ორმხრივი შეთანხმებები, დაფარვის მოქნილი გრაფიკების შეთავაზება და ა.შ) მაქსიმალური შედეგი იქნას მიღწეული და უზრუნველყოფილ იქნას დავალიანების თანხების ამოღება.

6. დანაკარგების რისკი

მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს არსებული დანაკარგები, რომლებიც ძირითადად ძველი ქსელების არსებობითაა გამოწვეული, თუმცა ქალაქის მასშტაბებით მიმდინარე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების კვალობაზე თანდათანობით 2021 წლიდან უნდა წავიდეს შემცირების მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი მაგისტრალური გადამცემი წყალმომარაგების ქსელის დაგეგმილი საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ასევე დიდ გავლენას მოახდენს დანაკარგების შემცირებაზე. დანაკარგებზე ზემოქმედებს ასევე არსებული მომხმარებლების გამრიცხველიანებისა და მრიცხველების გამოცვლის პროცესის მიმდინარეობა, რომელიც ხელს შეუწყობს წყლის დაზოგვით მოხმარებას. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს წყლის რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

2019 წელს ჩაქვის ტერიტორიაზე განხორციელდა მაგისტრალური მილსადენიდან თვითნებურად დაერთებული აბონენტების ჩაჭრა და გადართვა ახალ გამანაწილებელ ქსელზე, რომელიც სამარაგო რეზერვუარებიდან მარაგდება და მოხდა საკონტროლო გაზომვები ოქტომბრის და ნოემბრის თვეში,

რომლის საფუძველზე მაგისტრალურ მილსადენზე დანაკარგები შემცირდა 40%-მდე. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს დანაკარგების შემცირების მიმართულებით, ასევე მახინჯაურის ტერიტორიაზე რაც 2020 წლისთვის განსხვავებულ სურათს წარმოაჩენს და მეტად მნიშვნელოვანია ახლად შემოერთბული ტერიტორიების, კერძოდ ხელვაჩაურის დასახლების წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა და ექსლუატაციაში გაშვება, ვინაიდან საპროექტო სამუშაოები ჩატარდა არა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და არ წარმოადგენს ბათუმის წყალმოამრაგების გამანაწილებელი ქსელის ერთიან კონცეფციას, აქედან გამომდინარე გულდასმით და დეტალურად არის შესასწავლი ხელვაჩაურის ტერიტორიის გამანაწილებელი ქსელის ჰიდრავლიკური მოდელირება და განსაზღვრა აბონენტების მიხედვით და ასევე გამზომი უბნების მიხედვით.

პერსპექტივაში შპს „ბათუმის წყალის“ მდგრადი ბიზნესის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება. ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურიზმის სფერო. მოგეხსენებათ ტურიზმი ყველაზე სწრაფი ტემპით განვითარების სფეროა, რომელსაც შემდგომი განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, განსაკუთრებით ქალაქ ბათუმში, რასაც თავის მხრივ, წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა მოყვება. უსაფრთხო და უწყვეტი წყალმომარაგება უმნიშვნელოვანესია, როგორც საცხოვრებელი პირობებისთვის და ტურისტული სექტორის განვითარებისთვის.
პერსპექტივაში კომპანიის ქსელის, აბონენტების ზრდისა და ინფრასტრუქტრის გამართვის კვალობაზე მოსალოდნელია საექსპლუატაციო დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც თავისთავად არსებული სატარიფო განაკვეთების პირობებში კიდევ უფრო გაზრდის საწარმოს ზარალის მოცულობას. შესაბამისად, ბათუმის წყლის სტაბილური ფინანსური განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა ეტაპობრივად მოხდეს სატარიფო განაკვეთების ზრდა. ასევე მნიშვნელოვანია სუბსიდირების თემა, რომელსაც ახორციელებს დამფუძნებელი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. სხვა პირობებში კომპანიის მენეჯმენტის წინაშე დადგება ისეთი საკითხების მოწესრიგება, როგორიცაა ტარიფის მისადაგება, პერსონალის განვითარების გეგმა და ქსელის უზრუნველყოფის მართვა, რომელთა ოპტიმალურმა გადაწყვეტამ უნდა უზრუნველყოს სამომავლოდ საწარმოს მომგებიანი საქმიანობის წარმართვა.

7. **საკრედიტო რისკი**

მთავარი საკრედიტო რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დგას წარმოადგენს პარტნიორების/აგენტების მიერ კომპანიის წინაშე არსებული დაუფარავი ვალდებულებების არსებობაა. კომპანიას არ აქვს კრედიტები, შესაბამისად სხვა საკრედიტო რისკებიც არ გააჩნია.

8. **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკების მნიშვნელობა წინა პლანზე კომპანიისთვის ბოლო პერიოდში წამოიწია. საოპერაციო რისკები თავის თავში აერთიანებს, როგორც ტექნიკურ რისკებს (პროგრამულ და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ), ისე ფორს-მაჟორულ სიტუაციებს. კომპანიაში დანერგილია პროგრამული და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკების მართვის ღონისძიებები.

9. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები

10, ინფორმაცია კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიის მიერ ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

11.გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს.

გენერალური დირექტორი	ლევან დავითაძე
დირექტორის მოადგილე	თინა ართმელაძე

2021 წლის 1 მაისი

კომპანიის მიერ ადგილი არ ქონია საკუთარი აქციების შეძენას.

11. გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს.

გენერალური დირექტორი ლევან დავითაძე

დირექტორის მოადგილე თინა ართმელაძე

2021 წლის 1 მაისი